პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 224 (5325) | ხუთშაბათი, 29 სექტემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

სანიმუშოდ დავამთავროთ ჩაის კრეფა (მე-1 გვ.)

საინფორმაციო ცნობა (1-ლი გვ.)

აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 100,1 პროცენტით (1-ლი გვ.)

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია. თავი X. (მე-2 გვ.)

რესპუბლიკური თათბირი ციტრუსების გამოზამთრების საკითხებზე (1-ლი გვ.)

„დიადი განთიადი" (მე-3 გვ.)

გ. აბულაძე —ასე იგადებოდა „დიადი განთიადი" (მე-3 გვერდი)

ძნელად მისასვლელი ადგილები მოსახლეობის სრული ყურადღების ქვეშ (მე-4 გვ.)

ად-საკავშირო. ალფარის წინ (მე-4 გვ.)

უცხოეთში:

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ოფიციალური განცხადება (მე-4 გვ.)

ჩეხოსლოვაკია ემზადება აგრესორისათვის წინააღმდეგობის გასაწევად (1-ლი გვ.)

რუზველტის ახალი მიმართვა ჰიტლერისადმი (1-ლი გვ.).

სანიმუშოდ დავამთავროთ ჩაის კრეფა

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის სეზონის გასვლამდე ერთი თვეა დარჩა. მიუხედავად ამისა, გეგმების შესრულებაში ისევ დიდი ჩამორჩენაა. 25 სექტემბრისთვის ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისა და დამზადების წლიური გეგმა საქართველოში მხოლოდ 85,5 პროცენტით იყო შესრულებული, სექტემბრისა კი—42 პროცენტით. უკანასკნელ ხანებში მთელ რიგ რაიონებსა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კრეფის ტემპების შენელებასთან ერთად დაეცა მოკრეფილი ფოთლის ხარისხიც. მაგალითად, საბჭოთა მეურნეობების მიერ მოკრეფილი ჩაის ფოთლიდან პირველი ხარისხის ფოთლის რაოდენობა, ნაცვლად 75 პროცენტისა, 64,9 პროცენტს არ აღემატება.

მიუხედავად საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მრავალგზის გაფრთხილებისა, მთელმა რიგმა აღგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, რაიმიწგანებმა და კოლმეურნეობებმა სერიოზულად ვერ მოჰკიდეს ხელი განუწყვეტელი კრეფის მტკიცედ გატარებას, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის სწორად მოწყობას, დისციპლინის განმტკიცებას, სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, სტახანოველთა გამოცდილების ფართოდ დანერგვას. არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს აგრეთვე „საჩაის", მიწსახკომისა და კერძოდ სუბტროპიკული სამმართველოს ხელმძღვანელობა ჩაის ფოთლის კრეფაზე.

განა ცუდი მუშაობის შედეგი არ არის ის, რომ 25 სექტემბრისათვის ჩაის კრეფის სექტემბრის გეგმა ცხაკაიას რაიონს შესრულებული ჰქონდა 9,1 პროცენტით, ჭუთაისის რაიონს 12 პროცენტით, ჩხოროწყუს რაიონს—19,8-ით, ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს თვიური გეგმა ამავე რიცხვისათვის შესრულებული ჰქონდათ 22,3 პროცენტით. ამ რაიონებმა სექტემბრის მეხუთე ხუთდღიურში მოგვცა თვიური გეგმის შესრულებაში მხოლოდ 3,7 პროცენტის მატება. ტყიბულის რაიონმა, სადაც თვიური გეგმის შესრულება 7,4 პროცენტს არ აღემატება, უკანასკნელ ხუთდღიურში 5.450 კილოგრამის ნაცვლად მხოლოდ 800 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოჰკრიფა.

მახარაძის რაიონს, რომელზედაც ჩაის კრეფის მთელი რესპუბლიკური გეგმის თითქმის ერთი მეოთხედი მოდის, სექტემბრის გეგმა 54 პროცენტით აქვს შესრულებული. ლანჩხუთის რაიონს, რომელსაც ჩაის ხვედრითი წონის მიხედვით საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებს შორის მეოთხე ადგილი უკავია, ჩაის კრეფის წლიური გეგმა 25 სექტემბრისათვის შესრულებული ჰქონდა 77,1 პროცენტით, თვიური გეგმა კი — 26,6 პროცენტით. ჩაის კრეფის გეგმების შესრულებაში ასევე ჩამორჩენილი არიან ყალის, ოჩამჩირის, ჩოხატაურის, გეგეჭკორის, წალენჯიხის, სამტრედიის და სხვა რაიონები.

ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობას ჩაის კრეფის თვიური გეგმა 25 სექტემბრისათვის 31,7 პროცენტით ჰქონდა შესრულებული, პირველი ხარისხის ფოთლის საერთო რაოდენობა აქ 56,5 პროცენტს უდრის. ეს იმის შედეგია, რომ მეურნეობას აკლია მუშა-ხელი, ხოლო მის გეგმებად შეგროვებაზე აქ ნაკლებად ზრუნავენ. ცუდად არის დაყენებული პარტიულ - მასობრივი მუშაობა. პარტიის 24 წევრ-კანდიდატიდან უშუალოდ პლანტაციაში ფიზიკურ სამუშაოზე მხოლოდ ერთი არის გამოყენებული, რაც იმით არის გამოწვეული, რომ მიმდინარე წლის მაისიდან აგვისტომდე აქ პარტკომის ოთხი მდივანი შეიცვალა.

ლანჩხუთის რაიონის სოფ. მამათის, ხაჯალიას და არჩეულის კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების დანაშაულებრივი უყურადღებობა იქამდეც კი მივიდა, რომ 19,5 ჰექტარი ჩაის პლანტაცია სრულიად უპატრონოდ მიატოვეს. ამ პლანტაციებში არ ჩაუტარებიათ თოხნა, გადაბარვა, არ მიუციათ მათთვის სასუქი, არ გაუფორმებიათ ბუჩქები და უკანასკნელ დრომდე მათზე არცერთი კრეფა ჩაის ფოთოლი არ მოუკრეფიათ. ლანჩხუთის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში დაცემულია დისციპლინა, დაბალია შრომის ნაყოფიერება. სოფ. ტაბანათის კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადაში 14 სექტემბერს მთელი დღის განმავლობაში 13 მკრეფავმა მხოლოდ 25 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოჰკრიფა, მაშინ, როდესაც დღიური ნორმად თვითეული მკრეფავისათვის 13 კილოგრამი იყო დაწესებული.

იქ, სადაც სწორად მოაწყეს შრომა და სათავეში ჩაუდგნენ სტახანოვურ მოძრაობას, ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმები გადაჭარბებით სრულდება. მაგალითად, ბათუმის რაიონს 25 სექტემბრისათვის ჩაის კრეფის წლიური გეგმა 100,5 პროცენტით, ხოლო სექტემბრის გეგმა 111,6 პროცენტით ჰქონდა შესრულებული. მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების და შემოქმედის კოლმეურნეობებმა, სადაც საუკეთესოდ გამოიყენეს სოციალისტური შეჯიბრება, ჩაის კრეფის წლიური გეგმები ვადაზე თვენახევრით ადრე შეასრულეს. ჩაქვის საბჭოთა მეურნეობას 25 სექტემბრისათვის ჩაის კრეფის წლიური გეგმა 95,6 პროცენტით ჰქონდა შესრულებული. ამ მეურნეობის მიერ მოკრეფილი ფოთლის 83,7 პროცენტი პირველი ხარისხისაა. წარმატებით ასრულებენ ჩაის კრეფის გეგმებს აგრეთვე ოჩხამურისა და სალიბაურის საბჭოთა მეურნეობები.

ახლოვდება ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის XXI წლისთავი. ამ დიად დღესასწაულს სუბტროპიკული ზონის ყველა რაიონი, ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა უნდა შეხვდეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმების გადაჭარბებით შესრულებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, რომელიც საბჭოთა კავშირის ქარხნებში, შახტებში, რკინიგზებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ვითარდება საუკეთესო სამუშაობა გეგმების სანიმუშოდ შესრულებისათვის, ჩაის კრეფაში არსებულ ჩამორჩენის სასწრაფოდ გამოსწორებისათვის.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციების და სამეწარმოო-სამეურნეო ორგანოების ვალია სათავეში ჩაუდგნენ წინასაქართველოს სუბტროპიკულ რაიონებს შორის მეოთხე ადგილი უკავია, ჩაის კრეფის წლიური გეგმა 25 სექტემბრისათვის შესრულებული ჰქონდა 77,1 პროცენტით, თვიური გეგმა კი — 26,6 პროცენტით. ჩაის კრეფის გეგმების შესრულებაში ასევე ჩამორჩენილი არიან ყალის, ოჩამჩირის, ჩოხატაურის, გეგეჭკორის, წალენჯიხის, სამტრედიის და სხვა რაიონები.

ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობას ჩაის კრეფის თვიური გეგმა 25 სექტემბრისათვის 31,7 პროცენტით ჰქონდა შესრულებული, პირველი ხარისხის ფოთლის საერთო რაოდენობა აქ 56,5 პროცენტს უდრის. ეს იმის შედეგია, რომ მეურნეობას აკლია მუშა-ხელი, ხოლო მის გეგმებად შეგროვებაზე აქ ნაკლებად ზრუნავენ. ცუდად არის დაყენებული პარტიულ - მასობრივი მუშაობა. პარტიის 24 წევრ-კანდიდატიდან უშუალოდ პლანტაციაში ფიზიკურ სამუშაოზე მხოლოდ ერთი არის გამოყენებული, რაც იმით არის გამოწვეული, რომ მიმდინარე წლის მაისიდან აგვისტომდე აქ პარტკომის ოთხი მდივანი შეიცვალა.

საინფორმაციო ცნობა

1938 წლის 27-28 სექტემბერს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის III პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა საქართველოს კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივნის ამხ. **გ. დ. ჩაჩიბაიას** და საქართველოს კ. პ. (ბ) ბურჯუაზიის რაიკომის მდივნის ამხ. **გ. ს. დარაშვილის** მოხსენებები იმ საკითხზე, თუ როგორ სრულდება საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1938 წლის 19 აპრილის დადგენილებანი: „კოლმეურნეობებიდან კოლმეურნეთა გარიცხვის აკრძალვის", „კოლმეურნეობებში შემოსავლის არასწორად განაწილების" და „ერთპიროვნული მეურნეობების მიმართ გადასახადებისა და სხვა ვალდებულებების შესახებ".

კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: **გ. ა. დანელიანი, ვ. მ. კაქსაშვილი, ვ. ე. ჯიმშელეიშვილი, ს. ს. მამულოვი, ი. მ. ფარცხალაძე, ა. ნ. რაფავა, ა. კ. ხრისტიანოვი, ი. დ. კოკლამაზაშვილი, კ. ს. ციმაკურიძე, ს. გ. ხოშტარია**

პლენუმმა განიხილა საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. **კ. გ. ბეჭვაიას** და საქართველოს კ. პ. (ბ) ყვარლის რაიკომის მდივნის ამხ. **მ. ს. მენთეშაშვილის** მოხსენებები აფხაზეთისა და ყვარლის რაიონის პარტორგანიზაციებში პარტიაში მიღებისადმი ხელმძღვანელობის შესახებ.

ამ საკითხზე გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: **ი. ლ. დვალი, მ. ი. ბარამია, ი. ნ. შამუშია, ა. ე. თოფურიძე, გ. თ. კარანაძე, გ. ე. ნარსია, ი. ე. ღუდუშაური, ვ. მ. ძიძიგური, გ. მ. ადამია, კ. ნ. შეროზია.**

განხილულ საკითხებზე პლენუმმა ერთხმად მიიღო რეზოლუციები.

პლენუმზე ცნობით მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისა და დამზადებათა სახელმწიფო გეგმების შესრულების მსვლელობის შესახებ გამოვიდა ამხ. **ვ. მ. ბაძრაძე.**

სსრ კავშირის ორდენების გადაცემა

27 სექტემბერს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. გ. ი. პეტროვსკიმ პრეზიდიუმის მთელი რიგი წევრების თანდასწრებით ორდენები გადასცა მეთაურთა ჯგუფს, რომელნიც დაჯილდოებულნი არიან მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 20 წლისთავთან დაკავშირებით, სიმამაცისა და თავგანწირულებისათვის საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან ბრძოლაში და დიდი წარმატებებისა და მიღწევებისათვის მუშურ-გლეხური წითელი არმიის ერთეულებისა და ქვედანაყოფების საბრძოლო, პოლიტიკურ და ტექნიკურ მომზადებაში.

ორდენები მიიღეს ბრიგადის ინტენდანტმა ამხ. საფონცევმა, კაპიტანმა ამხ. უსოვმა, უფროსმა ლეიტენანტმა ამხ. მოსკვიჩევმა და სხვებმა.

შემდეგ ორდენები გადაეცა ამხანაგებს ლიბინს, ჩერნიშევს, კურბატოვსა და პურნემცოვს, რომელნიც დაჯილდოებულნი არიან საუცხოო მუშაობისათვის შორეული ჩრდილოეთის ათვისების საქმეში და განსაკუთრებით იმისათვის, რომ უზრუნველჰყვეს ჩრდილოეთის პოლუსის ექსპედიციის მომზადება და მომსახურება, აგრეთვე ამხანაგებს ვინოგს, მარტინოვს, კუკსინსა და სხვებს, რომელნიც დაჯილდოებულნი არიან საუცხოო მუშაობისათვის „ჩრდილოეთის პოლუსის" მოდრეიფე სადგურის მომზადებისა და ორგანიზაციის საქმეში.

ორდენი გადაეცა აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ი. ა. ჯავახიშვილს, რომელიც დაჯილდოებულია უნივერსიტეტის 20 წლისთავთან დაკავშირებით და დიდი დამსახურებისათვის მეცნიერულ-პედაგოგიურ მუშაობაში. (საკდესი).

უკანასკნელი ცნობები

ჩეხოსლოვაკია ემზადება აგრესორისათვის წინააღმდეგობის გასაწევად

ჯრაღა, 28 სექტემბერი (საკდესი). გუშინ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტ ბენეშთან მთელ დღეს მიმდინარეობდა მთავრობის წევრთა, კოალიციური პარტიების ხელმძღვანელთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირები. ამ თათბირზე გამოირკვა, რომ მთავრობისა და პარლამენტის ხელმძღვანელი პარტიების შეხედულებანი რესპუბლიკის დაცვის ორგანიზაციის საკითხში სავსებით ეთანხმებიან ერთმანეთს.

გუშინ შესდგა ჩეხიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული კონფერენცია ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად. კონფერენციამ მოიწონა პარტიის თავმჯდომარის გამჯლის მოხსენება და დაავალა ცენტრალურ კომიტეტს აწარმოოს შემდგომი ბრძოლა რესპუბლიკის დასაცავად.

კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელსაც ამავე დროს ჰქონდა სხდომა მიიღო მიმართვა, სადაც მოუწოდებს ყველა მშრომელს—ჩეხებს, სლოვაკებს, გერმანელებს, უნგრელებს, პოლონელებს, უკრაინელებსა და სხვებს,—გაერთიანდნენ რესპუბლიკის მთლიანობისა, სუვერენობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად.

ინგლისის პრესა ცენზურაზე ევროპაში შექმნილი საშიში მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 28 სექტემბერი (საკდესი). კარგად ინფორმირებული ბერლინელი წრეების აზრით, — სწერს „ტაიმსის" ბერლინელი კორესპონდენტი, — იმ შემთხვევაში, თუ ჩეხოსლოვაკია ჰიტლერის პირობებს არ მიიღებს, გერმანიის ჯარები 29 სექტემბერს დაიწყებენ საომარ მოქმედებას ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ.

გუშინ საღამოს, — იუწყებიან ინგლისური გაზეთების ბერლინელი კორესპონდენტები,—ბერლინზე დაუსრულებელ ნაკადად მიედინებოდნენ გერმანიის ჯარები, მათ შორის დიდძალი მძიმე არტილერია, საზენიტო ქვემეხები, ტყვიამფრქვევები, ჰაუბიცები, სალაშქრო ლაზარეთები და სალაშქრო სამზარეულოები. ეტლების ყველა ნომერი წაშლილი იყო, ალბათ, იმისათვის, რომ შეუძლებელი ყოფილიყო იმის გამორკვევა, თუ რომელი ქალაქიდან არიან ისინი წამოყვანილნი. ჩეხოსლოვაკიის საზღვართან ნამყოფი პირები იუწყებიან, რომ იქ გერმანიის დიდძალი ჯარია თავმოყრილი.

ჰავასის სააგენტოს ცნობა

პარიზი, 28 სექტემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტოს ბერლინელმა კორესპონდენტმა გუშინ გვაცნობა, რომ საქმესთან დაახლოებული წყაროებით დადასტურებულია ცნობები იმის შესახებ, რომ „ჰორას ვილსონი სკდილობდა მიეღწია ჰიტლერისაგან დამატებითი ვადის მიღებას ჩეხოსლოვაკიის ჯარის სუდეტის ტერიტორიებიდან ევაკუაციისათვის. მან შესთავაზა ჰიტლერს ლონდონის პროექტის შესრულების ინგლისის გარანტია. ვილსონი გუშინ ხელახლად იყო მიღებული ჰიტლერის მიერ, რომელმაც განუცხადა, რომ თუ 28 სექტემბრის 14 საათისათვის პრაღისაგან არ იქნა მიღებული დამაკმაყოფილებელი პასუხი სუდეტის ოლქის ევაკუაციის შესახებ, მაშინ ის იტოვებს უფლებას „მიიღოს საჭირო ზომები".

ჩეხოსლოვაკიის არმიის მანევრები. ბატისლავის აეროდრომზე ესკადრილიის უფროსი რადიოთი დებულობს განკარგულებას. „სოიუზფოტო"

რუზველტის ახალი მიმართვა ჰიტლერისადმი

ნიუ-იორკი, 28 სექტემბერი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რუზველტმა გუშინ ხელახლად მიმართა ჰიტლერს წერილით, სადაც წინადადებას აძლევს მოწვეულ იქნეს კონფერენცია „ყველა იმ ქვეყნებისა, რომელნიც უშუალოდ არიან დაინტერესებულნი კონფლიქტის გადაჭრაში". რუზველტი სთხოვს ჰიტლერს განაგრძოს მოლაპარაკება ჩეხოსლოვაკიასთან, რათა თავიდან აცილებულ იქნეს ომი. თუმცა ამერიკის შეერთებულ შტატებს არავითარი ვალდებულებები არა აქვს ევროპის წინაშე, აცხადებს რუზველტი, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვგრძნობთ ჩვენს პასუხისმგებლობას იმ ამბებზე, რომელთაც ადგილი აქვთ ევროპაში. ამერიკის ხალხი მოითხოვს, რათა მისი მთავრობა ერთჯერ კიდევ გამოვიდეს იმისათვის, რომ აცილებულ იქნეს ომი.

გამოხმაურება ჰიტლერის სიტყვაზე

ვენეცია, 28 სექტემბერი (საკდესი). ჰიტლერის სიტყვამ, რომელიც შეიცავს მუქარასა და დევნას ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მიმართ და აგრეთვე მისი პრეზიდენტის ბენეშის გაუგონარ შეურაცხყოფას, დიდი აღშფოთება გამოიწვია ერთა ლიგის წრეებში. ჰიტლერის განცხადება იმის შესახებ, რომ გერმანელებით დასახლებული ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის გერმანიასთან შეერთების მოთხოვნა თითქოს უკანასკნელი ტერიტორიული საკითხი იყოს, რომელსაც გერმანია ევროპაში აყენებს, შეფასებულია როგორც მოუქნელი და უხეში ცდა დაჰფაროს გერმანიის ფაშიზმის მტაცებლური მისწრაფებანი. აქ იხსენებენ, რომ ამდაგვარი განცხადება არა ერთხელ გაუკეთებია ჰიტლერს და გერმანიის ფაშიზმის სხვა მეთაურებს, კერძოდ კი რეინის ოლქის აღებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება სუდეტელ გერმანელთა მდგომარეობას ჩეხოსლოვაკიაში, ჰიტლერის მიერ ამ საკითხის შესახებ მოყვანილი ცნობები საერთო აზრით, წარმოადგენს ფაქტიური მდგომარეობის უხეშ გადასხვაფერებას და აშკარა დამახინჯებას, რაც მიმართულია იმისაკენ, რომ მოატყუილოს გერმანიის ხალხი და დაჰფაროს გერმანიის ფაშიზმის მტაცებლური გეგმები.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის წიგნის გამოცემის შესახებ

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა შეუდგა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის წიგნის გამოცემას, მოკლე კურსი საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კომისიის რედაქციით.

მოწონებულია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ. 1938 წელი.

წიგნი გამოდის 6 მილიონ ცალად. წიგნის ფასი ყდით განსაზღვრულია 3 მანეთის რაოდენობით. უახლოეს დროში დაიწყება წიგნის მიღება გასასყიდად.

ცნობა თვითმფრინავ „როდინას" შესახებ

27 სექტემბრის განმავლობაში ავიაციისა და ხმელეთზე მაძიებელი პარტიების მიერ ვერ იქნა აღმოჩენილი თვითმფრინავი „როდინას" ადგილსამყოფელი. ძებნა გრძელდება. (საკდესი).

აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 100.1 პროცენტით

მთავრობის მიერ დაწესებული წლიური გეგმა აბრეშუმის პარკის დამზადებისა 3.693,5 ტონის რაოდენობით 25 სექტემბრისათვის შესრულებულია 100,1 პროცენტით, დამზადებულია 3.696,2 ტონა.

მეაბრეშუმეთა მასებმა, რომლებიც ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა წულუკიძეს სტახანოველ მეაბრეშუმეთა წერილმა ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას სახელზე და რომლებმაც ფართოდ გადმოიღეს მოწინავე ქისტაურელთა შესანიშნავი მეთოდები, მნიშვნელოვნად გაადიდეს პარკის მოსავლიანობა. თუ წარსული წლის გაზაფხულზე დარიგებულ 78.700 კოლოფ აბრეშუმის ჭიის თესლიდან დამზადებული იყო 3.216 ტონა პარკი, წელს 78.300 კოლოფ თესლის რეალიზაციამ მოგვცა 3.386 ტონა პარკი. გაზაფხულის გამოკვების გამოსავლიანობამ წელს თვითეულ კოლოფზე შეადგინა 43,2 კგრ. ნაცვლად წარსულ წელს მიღებული 40,8 კილოგრამისა.

თუ წარსულ წელს განმეორებითი გამოკვების გამოსავლიანობამ თვითეულ კოლოფზე შეადგინა 28 კგრ. წელს ზაფხულის გამოკვებამ მოგვცა 39 კგრ. და შემოდგომის გამოკვებიდან მოველით არანაკლებ 40 კილოგრამისა.

მეაბრეშუმეობის მუშაკები პირობას სდებენ პარტიისა და მთავრობის წინაშე, რომ გეგმის ზევით დამატებით მისცემენ სახელმწიფოს არა ნაკლებ 150 ტონა პარკისა.

საქ. აბრეშუმის ტრესტის დირექტორი ა. რამიშვილი

რადიოტელეფონით საუბარი ხასანის ტბის რაიონში წარმოებული ბრძოლის მონაწილე გმირებთან

„უკანასკნელი რადიოცნობების" რედაქციამ 26 სექტემბერს მოსკოვიდან ჩაატარა რადიოტელეფონით საუბარი ხასანის ტბის რაიონში წარმოებული ბრძოლის მთელ რიგ მონაწილეებთან. ტელეფონთან იყვნენ კომისარი ამხ. პიმენოვი, ლეიტენანტი ამხ. დრაგუნსკი, პოლიტხელის მოადგილე ამხ. პანკრატოვი, მებრძოლი ამხ. ბაცურა და ხასანის ტბის რაიონში წარმოებული ბრძოლის სხვა გმირი მონაწილენი.

— ჩვენთან ხშირად მოდიან შორეულ აღმოსავლეთის მხარის მშრომელთა დელეგაციები,—სთქვა ამხ. პიმენოვმა, — მებრძოლნი და მეთაურნი, რომლებიც თავის ნაწილებში დაბრუნდნენ ჰოსპიტლებიდან, საუცხოოდ გრძნობენ თავს. ისინი კარგად მოკეთდნენ და დიდ მადლობას აცხადებენ მათზე გაწეული მზრუნველობისათვის. ამჟამად ისინი ენტუზიაზმით განაგრძობენ მეცადინეობას საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ასამაღლებლად.

მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა სახელით მებრძოლთა სალამი გადასცა ამხ. პიმენოვმა სსრ კავშირის მშრომელთ.

— ჩვენ უღრმეს მადლობას ვუთვლით რადიოთი, — განაცხადა შემდეგ ამხ. პიმენოვმა,—მთელს საბჭოთა ხალხს და ამხანაგ სტალინს დედობრივი ზრუნვისათვის და მამობრივი სიყვარულისათვის ჩვენდამი, ათასობით საჩუქრისათვის, რომლებიც ჩვენ გამოგვგზავნეს, მსახიობთა ბრიგადების გამოგზავნისათვის, საუცხოო კულტურული მომსახურებისათვის. ვამაღლებთ რა ჩვენს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებას, ჩვენ ყოველ წუთს მზად ვართ დარტყმითვე გავცეთ გამანადგურებელი პასუხი ომის გამჩაღებელთა დარტყმაზე.

შემდეგ გამოვიდა ლეიტენანტი ამხ. დრაგუნსკი, პოლიტხელის მოადგილე ამხ. პანკრატოვი და მებრძოლი ამხ. ბაცურა, რომელთაც უამბეს საბრძოლო ეპიზოდები.

რადიოლაპარაკი ჩაწერილი აფსკზე. (საკდესი).

„ჩრდილოეთის პოლუსის" მოდრეიფე სადგურის მეცნიერული მასალების დამუშავება

საუბარი საბჭოთა კავშირის გმირ პ. პ. შირშოვთან

27 სექტემბერს ლენინგრადიდან მოსკოვში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის გმირი პ. პ. შირშოვი. საბჭოთა კავშირის დეპუტათა საბჭოს კორესპონდენტთან საუბრის დროს შირშოვმა უამბო მას იმ მუშაობის შესახებ, რომელიც მიმდინარეობს „ჩრდილოეთის პოლუსის" მოდრეიფე სადგურის მეცნიერული მასალების დასამუშავებლად.

— ამჟამად გამოსაცემად მზადდება ჩვენს მიერ პოლუსზე შეკრებილი მასალების პირველი ტომი, — სთქვა ამხ. შირშოვმა, — ამ ტომში შევა მასალები ჩრდილოეთის პოლუსზე ექსპედიციის მოწყობისათვის მზადებისა და საჭირო მოწყობილობით მისი აღჭურვის შესახებ, აგრეთვე ასტრონომიული და მეტეოროლოგიური დაკვირვებები. სტატიების ავტორები არიან—საბჭოთა კავშირის გმირები ო. ი. შმიდტი, ი. დ. პაპანინი და მ. ი. შეველიოვი. პირველი ტომი მზად უნდა იყოს მომავალი წლის დამლევს. ამავე დროს გამოსაცემად მზადდება შემდეგი ტომები. ამ ტომებში შევა ჰიდროლოგიური მასალები, სტატიები საგრავიტაციო გაზომვათა შესახებ და სტატიები ყინულების დრეიფზე დაკვირვების შესახებ. ამ სტატიების ძირითადი ავტორები არიან ე. ჯ. ფედოროვი და პ. პ. შირშოვი. მასალების დამუშავება 1938-1939 წ. წ. უნდა დამთავრდეს.

მთელი გამოცემა ილუსტრირებული იქნება დრეიფის დიდი რუკის, ნახაზებითა და დოკუმენტალური ფოტოგრაფიებით.

დიდი გადაფრენა II მოკავშირე რესპუბლიკაში

(ტელეგრაფით ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

მოსკოვი, 27 სექტემბერი. ზეგ, 29 სექტემბერს, მფრინავი ფოკანოვი, რომელმაც ამასწინათ მოახდინა სისწრაფეზე გადაფრენა მოსკოვი—ხაბაროვსკი—მოსკოვი, იწყებს ახალ დიდ გადაფრენას 11 მოკავშირე რესპუბლიკაში. ფოკანოვი გაფრინდება სწრაფმფრენი სამგზავრო თვითმფრინავით „ს-ბ—89"-ით, მეორე პილოტად მიჰყვება ამხ. ანდრეევი, ხოლო ბორტმექანიკოს-რადისტად—ამხ. კაზაროვი.

მოსკოვიდან თვითმფრინავი გაფრინდება მინსკისკენ, იქიდან კიევისკენ, ხოლო კიევიდან გაფრინდება თბილისისკენ. თბილისიდან ამხ. ფოკანოვი გაფრინდება ერევანში, იქიდან ბაქოში და შემდეგ სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში.

ამხ. ფოკანოვმა თქვენს კორესპონდენტს განუცხადა, რომ მთელი გადაფრენა მოსკოვში დაბრუნების ჩათვლით გაგრძელდება 10 დღეს. მარშრუტის მანძილი უდრის 9640 კილომეტრს. თვითმფრინავი „ს-ბ—89" ეკუთვნის ყველაზე თანამედროვე საბჭოთა იმ თვითმფრინავების რიცხვს, რომლებიც გამოყენებული იქნებიან აეროფლოტის საექსპრესო საჰაერო ხაზებზე მიმოფრენისათვის. თვითმფრინავის საშუალო სისწრაფე უდრის 260 კილომეტრს საათში.

გადაფრენაში მონაწილეობას ღებულობს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის კომკავშირული ბრიგადა, რომელიც შეამოწმებს მოკავშირე რესპუბლიკების აეროპორტების მზადყოფნას შემოდგომა-ზამთრის ნავიგაციისათვის.

ამხ. გრომოვი და მოშკოვსკი სოხუმში

სოხუმი, 26 სექტემბერი (ტელეგრაფით საკ. კორ.). დღეს სოჭიდან სოხუმში ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის გმირი ამხანაგი **გრომოვი** და ცნობილი პოლარელი მფრინავი ამხანაგი **მოშკოვსკი**. კინო-თეატრ „აფსნის" დარბაზში ისინი შეხვდნენ ქალაქის მშრომელ ახალგაზრდობას და სოხუმის აეროკლუბის კურსანტებს. შეხვედრა მეტად გულთბილი და საინტერესო იყო. მას 700-ზე მეტი ახალგაზრდა დაესწრო.

ამხანაგმა გრომოვმა ერთ საათზე მეტ ხანს ისაუბრა ამერიკაში თავისი შარშანდელი გადაფრენის შესახებ. მან მოუთხრო დამსწრე ახალგაზრდებს, თუ რა მამაბრივ მზრუნველობას იჩენს მფრინავებისადმი დიდი სტალინი. შემდეგ გრომოვი შეჩერდა იმაზე, თუ როგორ იფრინებს მათ სიმორის მსოფლიო რეკორდის დასამყარებლად და როგორ ბრწყინვალედ შეასრულეს გაფრენა 12.411 კილომეტრზე. ბევრი რამ საინტერესო აღნიშნა გრომოვმა თვითმფრინავის მოწყობილობაზე, ფრენისას ეკიპაჟის წევრთა შორის შრომის განაწილება და ამერიკაში მიღებულ შთაბეჭდილებებზე. მან უსურვა ჩვენ ახალგაზრდობას უკეთესი რეკორდების დამყარება და მოუწოდა თავდაცვითი მუშაობის გაძლიერებისაკენ.

ჩრდილოეთის პოლუსიდან პაპანინის ჯგუფის გადმოყვანის შესახებ მოკლე და საინტერესო საუბარი ჩაატარა ამ გაფრენისა და ლეონავესკის თვითმფრინავის ძებნის მონაწილემ მოშკოვსკიმ.

რესპუბლიკური თათბირი ციტრუსების გამოზამთრების საკითხებზე

25 სექტემბერს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის კლუბში გაიხსნა საქართველოს მიწსახკომის მიერ მოწვეული რესპუბლიკური თათბირი. თათბირს დაესწრნენ დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ციტრუსოვანთა კულტურების რაიონების მიწგანების გამგეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, სტახანოველი მუშები, აგრონომები, ენტომოლოგები და სოფლის მეურნეობის მეცნიერი მუშაკები.

რესპუბლიკურმა თათბირმა მოისმინა სუბტროპიკული საკვლევო ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის მეცნიერი მუშაკის ამხ. ბარბალე ლავროჩუკის და ანასეულის სუბტროპიკული საკვლევო ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკის ამხ. მგალობლიშვილის მოხსენება საკითხზე: ციტრუსოვან კულტურათა გამოზამთრების შესახებ.

მოხსენებათა შემდეგ ვრცელი და შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. ხოშტარია.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ სუბტროპიკულ კულტურათა კვლევითი ინსტიტუტის არასაკმაო მუშაობას ციტრუსების გამოზამთრების უკეთ მოწყობის საქმეში. ინსტიტუტს არ დაუმუშავებია ციტრუსების გამოზამთრებისა და სიცივისაგან დაცვის მეთოდები ცალკეულ რაიონებისა და სასოფლო საბჭოებისათვის, რაც აუცილებელი იყო.

თათბირზე განხილულ იქნა აგრეთვე საქართველოს რაიონებში ჩაის, ციტრუსების და ტუნგოს კულტურების შემდგომი განვითარებისათვის ნიადაგების შერჩევის საკითხი.

ამ საკით

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კომისიის რედაქციით. მოკლე კურსი. მოწონებულია საკ. კ. პ.(ბ) ც. კ-ის მიერ. 1938 წელი.

თავი X

ბოლშევიკების პარტია ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლაში

(1926—1929 წლები)

1. სიძნელენი სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პერიოდში და მათთან ბრძოლა. ზროცკისტულ-ზინოვიევური ანტიპარტიული ბლოკის შექმნა. ბლოკის ანტისაბჭოთა გამოსვლები. ბლოკის დამარცხება.

XIV ყრილობის შემდეგ პარტიამ გააჩაღა ბრძოლა იმისათვის, რომ ცხოვრებაში გაეტარებინა საბჭოთა ხელისუფლების გენერალური გეზი ქვეყნის **სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა.**

აღდგენითის პერიოდში ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ მთელი ეკონომიკა აღედგინა ომამდელ დონეზე. ეს ამოცანა ძირითადად გადაწყდა. ახლა ეს ამოცანა აღარ არსებობდა. ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ინდუსტრიის ახალი ტექნიკის საფუძველზე აღედგინა და გაეფართოებინა ინდუსტრია.

ეს ნიშნავ

ელექტრონული ბიბლიოთეკა

დიადი განთიადი

კადრი ფილმიდან „დიადი განთიადი". **სურათზე:** სადგური რაზლივი. ლენინის ჯარავი.

ფოტო — სახკინმრეწვის კინო-სტუდიისა

კაცობრიობის უდიდესი გენიოსის სახე

სასინჯი გადაღების შემდეგ, ლენინის ორდენოსანმა რეჟისორმა მ. ე. ჭიაურელმა მაცნობა, ,,ომ მე წილად მხვდა ყველაზე საპატიო ამოცანა — განვასახიერო ეკრანზე კაცობრიობის უდიდესი გენიოსის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის ვ. ი. ლენინის სახე.

ჩემი მუშაობა როლზე ორი გზით წარიმართებოდა: უპირველეს ყოვლისა, მე უნდა მიმეღწია ბელადთან პორტრეტული მსგავსებისათვის და, მეორე, — შემესწავლა ისტორიული დოკუმენტები, მოგონებები, გრამოფონული ჩანაწერები, კინო-აფსკები, მუზეუმების მასალები ვ. ი. ლენინის სახის გადმოსაცემად.

ხუთმეტამდე საცდელი გრიმი გავიკეთე, სხვადასხვა ვარიანტი მოვძებნე. რამდენჯერმე გადავიღე ფოტოსურათი ამ გრიმებში. ვადარებდი მათ ილიჩის ცნობილ სურათებს, ვგრძნობდი ჩემს ნაკლოვანებებს, მწვავედ განვიცდიდი მათ, მაგრამ ზოგიერთი დადებითი შედეგი, რომელთაც მე მივაღწიე, უსაზღვროდ მახარებდა.

საკუთარ თავზე დიდი მუშაობის გარეშე შეუძლებელი იყო გადამეწყვიტა ის ამოცანა, რომელიც მე დამისახეს. დღემდე არ შემწყნარებია მუშაობა როლის გამკვეთრებაზე: ყოველმხრივ ვსწავლობ და ვეწაფები იმას, განუწყვეტლივ ვადევნებ თვალყურს ჩემს ყოველ მიხვრა-მოხვრას და დიქციას.

მე ვკითხულობ ამხანაგ სტალინის, კრუპსკაიას, გორკის, ლუნაჩარსკის, ულიანოვების, კლარა ცეტკინის, იაროსლავსკის მოგონებებს. ვსწავლობ ავრეთვე იმ მუშების მოგონებებსა და წერილებს, რომელთაც ვ. ი. ლენინთან შეხვედრები ჰქონდათ.

არ შემიძლია არ მოვიგონო „დიადი განთიადის" ექსპედიცია ლენინის ქალაქში — ლენინგრადში. აქ სწარმოებდა კარავისა და ალილუევის ბინის გადაღება. ვ. ი. ლენინის გრიმით მე ვიყავი იმ ბინაში, სადაც ვლადიმერ ილიას-ძე ცხოვრობდა; ვაბიჯებდი იმ იატაკზე, რომელზედაც ვლადიმერ ილიას-ძე დადიოდა, უდიდესი მღელვარება, რომელსაც განვიცდიდი იმ საათებში, ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება. მისი აღწერა შეუძლებელია.

მუდმივი და მჭიდრო კავშირი მთელ იმ კოლექტივთან, რომელიც „დიად განთიადზე" მუშაობს, მიადვილებს მძიმე ამოცანის გადაწყვეტას. ბედნიერი ვარ, რომ მუშაობა მიხდება დიდ რეჟისორ-მსახიობთან — მ. ჭიაურელთან, რომელიც უჩვეულო ენერგიის პატრონია. მისი მუშაობის ყოველ წვრილმანში, სიტყვაში, საქმეში და მთელს არსებაში გამოსჭვივის ის გრძნობა, რომ ის „დიადი განთიადით" სცოცხლობს და სუნთქავს.

ჯ. მიუშკე

ჩემი სიხარული

ჩემი გამოსვლა ეკრანზე არსენათი დაიწყო. ხალხური ლეგენდარული გმირის რეალური და სრულქმნილი სახის მოსაცემად უაღრესად რთული შემოქმედებითი მუშაობა მომიხდა.

უფრო მეტად პასუხსაგები ამოცანა წამოიჭრა ჩემს წინაშე, როდესაც რეჟისორმა მ. ჭიაურელმა წინადადება მომცა „დიად განთიადში" ქართველი ჯარისკაცის გიორგი ღუდუშაურის როლი მეთამაშნა. გიორგი ფილმის ერთერთი წამყვანი გმირია. ის გლეხის შვილია. ის იმპერიალისტურ ომში გაიწვიეს, მოწინავე პოზიციებზე გიორგი უახლოვდება რევოლუციურად განწყობილ ჯარისკაცებს და რევოლუციურ მოძრაობაში ებმება. მისი აზროვნების არე ფართოვდება. მასში თანდათანობით იჭრება შეგნება, ხალხის ნამდვილი მტერ-მოყვარის ცნობისა.

პიტერში სხვა ჯარისკაცებთან ერთად ჩამოსული გიორგი ხვდება ლენინსა და სტალინს. ბელადების გაგალითზე ის კაჟდება და რევოლუციის ერთგული მებრძოლი ხდება.

მებრძოლი პროლეტარიატის წარმომადგენლის დამაჯერებელი ტიპის შექმნა უაღრესად დიდ აქტიორულ ოსტატობას მოითხოვს.

დიდი მუშაობა მიხდებოდა გიორგის როლის მომზადებისათვის: ვკითხულობდი პარტიულ ლიტერატურას, ვსწავლობდი პარტიის ისტორიას, ვეუფლებოდი აქტიორულ ოსტატობას. მეხსომარებოდა რეჟისორი, რომელსაც ჩემს აღზრდაში დიდი ამაგი მიუძღვის.

საბჭოთა მაყურებელმა უნდა განსაჯოს, შევასრულე თუ არა მე ის პირობა, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. მ. ი. კალინინს მივეცი ორდენის მიღების დროს კრემლში.

ს. ბალაშვილი

ორდენოსანი კინო-მსახიობი.



კადრი ფილმიდან „დიადი განთიადი". **სურათზე:** ვ. ი. ლენინი (მსახ. ბ. შიუშკე), ი. ბ. სტალინი (მსახ. მ. ბელოვანი), ი. მ. სვერდლოვი (მსახ. ბ. პოლტავცევი).

ფოტო — სახკინმრეწვის კინო-სტუდიისა

ისტორიულ-რევოლუციური ფილმი

ჭ. ე. ჭიაურელი

ფილმის დამდგმელი, ორდენოსანი რეჟისორი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

მუშაობა დიდ ისტორიულ - რევოლუციურ ფილმ „დიად განთიადზე" ჩემთვის — ფილმის ავტორისა და რეჟისორისთვის და მთელი კოლექტივისათვის —საპატიო, მაგრამ რთულ ამოცანას წარმოადგენს. „დიად განთიადში" ჩვენ უნდა ვაჩვენოთ მაყურებელს, თუ როგორ მოჰფინა ჩვენს ქვეყანას სინათლე ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიადმა განთიადმა.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შესახებ საბჭოთა კინო-ხელოვნების სხვა ნაწარმოებებისაგან განსხვავებით ფილმი „დიადი განთიადი" გვიჩვენებს, თუ ოქტომბერმა როგორ ისტორიულად გადასჭრა არა მარტო რუსეთის პროლეტარიატისა და გლეხობის ბედისწალი, არამედ ამერიკა-კავკასიის საუკუნეებით დამონებული ხალხების ბედისწალიც. და ქართველი ხალხი დადგა ლენინ-სტალინის უძლეველი დროშის ქვეშ. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ფილმის ძირითადი მოქმედება თითქმის მთლიანად საქართველოს გარეთ იშლება, „დიადი განთიადი" თავისი შინაარსით ღრმად ნაციონალური ფილმია.

ფილმის მთავარი პერსონაჟები არიან ქართველი მუშა გიორგი ღუდუშაური და თავადი მიქელაძე, რომლებიც ხვდებიან ერთმანეთს ფრონტზე იმპერიალისტური ომის დროს. თვითეული მათგანი თავისებურად წარმოადგენს საქართველოს ნაციონალურ ინტერესებს და შესაფერად იბრძვის ამ ინტერესებისათვის.

1917 წელი. ფილმის მოქმედება გადატანილია რევოლუციურ პეტროგრადში, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების გამძაფრებული ბრძოლის პლაცდარმზე. სრულიად ბუნებრივია და გასაგები, რომ ქართველი პროლეტარი გიორგი ღუდუშაური თავისი სამშობლოს ბედისწალისთვის, თავისი ხალხის ნათელი მომავლისთვის იბრძვის სწორედ პიტერში, სადაც ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით გადაწყვეტილ იქნა დროებითი მთავრობა და დამყარებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლება.

გიორგი ღუდუშაურის როლის შემსრულებელი —ახალგაზრდა, ნიჭიერი არტისტი — ორდენოსანი სპარტაკ ბაღაშვილი თავისი ინდივიდუალური თვისებებით სავსებით შეეფერება ფილმის გმირის შინაგან არსს.

ფილმ „დიად განთიადში" ნაჩვენებია ივლისის დემონსტრაცია პეტროგრადში, ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობა, რომელზედაც ლენინის საქმეს, ლენინის გეზს ატარებდა მისი ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი ამხანაგი სტალინი, ჭოხი სადგურ რაზლივის მახლობლად, სადაც კერენსკის მეძებრებს ემალებოდა კაცობრიობის უდიდესი გენიოსი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

ვ. ი. ლენინისა და ამხანაგ სტალინის როლებს ასრულებენ თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობი მიუშკე და რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი თეატრის მხახიობი გელოვანი. მათთან ჩატარებულია დიდი მუშაობა, რომელიც მიმართული იყო იქითკენ, რომ შეგვექმნა სოციალისტური სამშობლოს ხალხების ახალი, საამური, ბედნიერი ცხოვრების გენიალურ შემოქმედთა — ლენინისა და სტალინის დამაჯერებელი სახეები.

მთელი შემოქმედებითი კოლექტივი — კინო - დრამატურგი გ. ცაგარელი, კომპოზიტორი ვ. გოკიელი, მხატვარი შ. მამალაძე, ოპერატორი დიღმელი, რომლებსაც ფილმში თავიანთი მრავალწლოვანი მუშაობის უმდიდრესი გამოცდილება შეაქვთ, — აღგზნებულია სურვილით სახელოვნად შეასრულოს მასზე დაკისრებული საპასუხისმგებლო ამოცანა. ოპერატორი პოლიკუვიჩი, ასისტენტები თარხნიშვილი, გედევანიშვილი, ხარშილაძე და ქორქაშვილი ფილმ „დიადი განთიადის" გულწრფელი ენტუზიასტები არიან. ხმის ჩაწერაზე წარჩინებულად მუშაობს ე. გაბრიელი. დიალოგების დამუშავებაში დიდი დახმარება გაგვიწია კინემატოგრაფიის უძველესმა ოსტატმა ი. პერესტიანმა.

ფილმ „დიადი განთიადის" წარმოება უახლოეს დროში დამთავრდება. მთელი კოლექტივი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით მუშაობდა ისტორიულ-რევოლუციური ფილმის შექმნაზე და იგი დაუსრულებლად ბედნიერი იქნება, თუ შესძლებს მართლად და მკაფიოდ მიტანოს მრავალმილიონიან მაყურებლამდე ფილმის ძირითადი იდეა — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სიდიადე.

მუშა ბოლშევიკი

„დიად განთიადში" მე პიტერის მუშის — იმპერიალისტური ომის დროს ფრონტზე გაწვეული ჯარისკაცის ერშოვის როლს ვასრულებ. ერშოვი მოწინავე მუშაა. ის ნამდვილი ბოლშევიკია. ის ასე ვთქვათ, შემკრებლობითი სახეა იმ მოწინავე მუშებისა, რომლებიც ლენინ-სტალინის პარტიის რიგებში არიან.

ერშოვს უხდება ლენინისა და სტალინის გაყვანა დროებითი მთავრობის ალყიდან. ორი ამკვეთრებს ერთმანეთთან ლენინსა და სტალინს პარტიის მეექვსე ყრილობის წინ, როცა ლენინი რაზლივშია, ხოლო პარტიას პიტერში უშუალოდ სტალინი ხელმძღვანელობს.

მსახიობის წინაშე, რომელიც ერშოვის როლს ასრულებს, მეტად მძიმე ამოცანა არის დასახული. სულ მცირე შეცდომაც საკმარისი, რომ სიყალბეში გადავარდეს და დაარღვიოს ის ბუნებრივი სიმართლე, რომლითაც გამსჭვალულია ფილმი თავიდან ბოლომდე.

როგორც ვხედავთ, ეს იოლი ამოცანა როდია. მაგრამ ამ ამოცანის დაძლევის იმედი მე მაინც მაქვს. ამ საქმეში უდიდეს დახმარებას მიწევს ორდენოსანი რეჟისორი მ. ჭიაურელი, რომელთანაც მე საკმაოდ ხანგრძლივი კინემატოგრაფიული პრაქტიკა მაკავშირებს.

ვ. ფ. მატოვი

საპასუხისგებო ამოცანა

„დიადი განთიადის" სცენარი მზად გვქონდა, აქტიორებიც შერჩეულნი იყვნენ, მაგრამ ჩემზე, როგორც ოპერატორზე, ბევრად იყო დამოკიდებული კინოაფსკზე უნაკლოდ აღმებეჭდა დიდი ბელადების — ლენინისა და სტალინის სახეები.

ამისათვის მარტო გრიმი საკმარისი არ არის. გრიმთან ერთად, საჭიროა სინათლის რეგულირებაც ისე, რომ მსგავსება დაცულ იქნას. არ დავიშურე ამისათვის კინოში ჩემი მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. დამდგმელ-რეჟისორთან და კოლექტივთან შეთანხმებული მუშაობით საუკეთესო შედეგს მივაღწიე.

ფილმის პირველი ეპიზოდი ლენინის ოთახს წარმოადგენს. ლენინი და სტალინი ერთად არიან. ნამდვილი მსგავსება! რა ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ნამუშევარი მაღალხარისხოვანი აღმოჩნდა.

გადამღები ჯგუფის ყველა წევრი მოუთმენლად ელის, ჩაბარებს თუ არა მეტად საპასუხისმგებლო გამოცდას ხალხთა ბელადის დიდი სტალინისა და საბჭოთა მრავალმილიონიან მაყურებელთა წინაშე!

ა. დიდელი

ოპერატორი.

კადრი ფილმიდან „დიადი განთიადი". **სურათზე:** მუშები და ჯარისკაცები მიაცილებენ ლენინს მენშევიკოვის სასახლიდან.

ფოტო — სახკინმრეწვის კინო-სტუდიისა

ჩემი სვეტლანა

რევოლუციურ ფილმში მე პირველად ვეღებულობ მონაწილეობას. მარტო ეს გარემოება საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რა მძიმეა ჩემი როლი.

სვეტლანა ახალგაზრდა გოგონაა. ის დაკავშირებულია „პრავდის" რედაქციასთან. ის არ არის კომკავშირელი, მაგრამ კომკავშირელის პროტოტიპია.

კომკავშირელის როლი მე განვასახიერე „კომსომოლსკში", რომელიც რეჟისორმა გერასიმოვმა დასდგა. ჩემს მუშაობას საკმაოდ მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა საზოგადოებრივობამ და პრესამ. აქ მე ვასრულებდი კომკავშირელი-ქალის როლს. მასში მიღებული გამოცდილება მიადვილებს მე შევქმნა სვეტლანას მშვენიერი სახე.

მე მინდა ჩავწვდე სვეტლანას — განვიცადო ის, რასაც ეს გოგონა ნამდვილად განიცდიდა ლენინისა და სტალინის ნახვის, მათთან შეხვედრის, მათთან ლაპარაკის დროს. ამ საქმეში უდიდეს დახმარებას მიწევს მ. ჭიაურელი. ის მარტო რეჟისორი კი არ არის, ის ნამდვილი პედაგოგია. ის მასწავლის, როგორ მოვიქცე ამა თუ იმ გარემოცვაში, რომ ახალგაზრდა მუშა-ქალის ტიპის შექმნაში სიმართლის გზას არ გადავუხვიო.

სვეტლანაში განსახიერებულია ხალხთა ნამდვილი მეგობრობა. სვეტლანას შეუყვარდება ქართველი ჯარისკაცი გიორგი ღუდუშაური. ეს სიყვარული გადაიზრდება საბჭოთა კავშირის ხალხთა სიყვარულში და ურყევ მდგომარეობაში. მთელ ჩემს ნიჭს, გამოცდილებას და ენერგიას მოვახმარ იმას, რომ განვასახიერო სვეტლანაში ხალხთა სტალინური მეგობრობისა და უდიდესი სიყვარულის გრძნობა.

თამარა მაკაროვა

ბ. აბულაძე

ასე იგადეგოდა „დიადი განთიადი"

(ერთი ღამე კინოფაბრიკაში)

ფაბრიკის მცირე დარბაზში, რომელიც 100-ზე მეტ მაყურებელს დაიტევს, მაგიდის ელნათური პატრუქივით ბუუტავს. მაგიდასთან სავარძელში ჩამჯდარი მსახიობები ჩურჩულით, ხან მარტო მიმიკით საუბრობენ. წინ სილრმეში სიბნელეში ტაცი კი არა, ლანდი მოსჩანს, რომელიც რეჟისორის კარნახით წამდაუწუმ იმეორებს:

— ისე, რომ ერთი წუთიც არ დავკარგოთ! ისე, რომ ერთი წუთიც არ დავკარგოთ!

— გაიმეორეთ! — გაისმის რეჟისორის ხმა.

—...ისე, რომ ერთი წუთიც არ დავკარგოთ! აკეთებს მსახიობი მაგიდის სიტყვაზე „ერთი წუთიც" და ხმის ინტონაცია, რაღაც ძომჯადოებელი ძალით გვწვდება სულის სიღრმეში.

შესვენების დროს მსახიობი მოეშურება აბანაგებისაკენ და ცნობისმოყვარე თვალებით ჩასჩერებია მათ სახეს, თითქოს უნდა ამოიკითხოს მათი აზრი. ახლა ის ჩვეულებრივ ადამიანად იქცა. ეს არის თბილისის გრიბოედოვის სახელობის რუსული თეატრის მსახიობი კ. მიუშკე. სჭელი, უკან გადავარცხნილი თმა, ჯაბუკური გამომეტყველება. აბა როგორ წარმოიდგენ, რომ ეს კაცი ვ. ი. ლენინს განასახიერებს? რეჟისორს მის სახეზე ორი რამ აღუოურნია, რაც მას გარეგნულად პროლეტარიატის დიად მასწავლებელს ამსგავსებს — ყვრიმალის ძვლები და თვალები. ჯერ კი ეს ლენინი არ არის. თმა რომ ძირს ჩამოიცვარცხნოს, ის ნამდვილი ილიჩი იქნება ამ გამოგონილი იერსახით, რომლის პაპარტითაც ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ლენინი რაზლივში გადამალა.

მიხეილ გელოვანში უფრო დარწმუნებული ხართ, ეს ხომ დიდებულად ანსახიერებს ახალგაზრდა სტალინს რევოლუციური მოძრაობის გმირიაზე შ. დადიანის პიესაში — „ნაპერწკლიდან"!

